



შაბათი, 28 ბიორგოვისთვი

48 — 1915

შანი
10 კ.

წლიურად 5 მ., ნახ. წ. 3 მ., 1 თვ. 40 კაპ. ცალკე ნომერი 10 კ.—ხელის-მოწერა მიიღება „სორაპან“ის სტამბაში. შისამართი: Тифლისь Ред. Театри да Цховвеба“ I. Имедашვილი.



286. ბიორგოვი ნიკოლოზის ძე შაზაძე

ქ. შ. წ. კ. საზ-ის თავმჯდომარე

28 ბიორგოვისთვი

ჩვენი აღორძინების წყარო

ქართველი ერის წინმსვლელობის პირმშო შეიღობა — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ — თვისი ოცდა ხუთმეტი წლის არსებობის მკირე დღესასწაული წელს გასულ კვირას გადინადა *) და დიდებული გარდაწყვეტილებითაც დაავიგრვინა: საწევრო გადასახადი ერთ მანათამდე დასწია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ საზოგადოება გაიზარდა, ერის შიგნიშიგან შეიწია...

ჩვენი ერის სწავლა-აღზრდის საქმე დღემ-

*) ქ. შ. წ. კ. არსებობი) 35 წ. თავი პარზან შესრულდა; თავის დროზე ჩვენ წერაილი უძღვენიო და დამოუწმებელთა სურათებიც დავებუდეთ (იხ „თ. და კ.“ 1914 წ. № 5). რალა თქმა უნდა, ჩვენი აღმზრდელი დაწესებულების დღესასწაული დიდის ზემიით უნდა გადავგვხანდა, მაგრამ დღევანდელ პირობებში ეს ვერ მოხერხდა.

დე თუ მხოლოდ საზოგადოების ზემო საფეხურზე მდგომია საზრუნავი იყო, დღეიდან თვით ერს—ფართავ საზოგადოებას ევალება თვის აღორძინებაზე თითონვე იზრუნოს...

მაგრამ მარტო კეთილი სურვილები არა კმარა,—საქიროა სურვილის საქმედ ქცევა... ეს კი პირდაპირი მოვალეობაა საზოგადოების სათავეში მდგომთა და ხალხიდან გამოსულ მუშაკთა... დღემდე თუ საწევრო გადასახადის სიდიდე აწინააღმდეგებდა საზოგადოებაში თვით ხალხის შესვლას და მთელი საქართველო მოყენილი არ იყო წ. კ. ს. განყოფილებებით, თუ ზოგიერთ ადგილას მხოლოდ რამდენიმე რჩეულთა სახელით არსებობდა „საზოგადოება“, დღეიდან მაინც „საზოგადოების“ განყოფილებანი ყველგან უნდა დაარსდეს, არსებული განყოფილებანი წევრებით გაძლიერდეს, მთელი ჩვენი ერი ჩაებას საქმიანობაში. ეს ერთი.

მეორე მხრით, კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნოთ ის სამწუხარო ვარემოება (რომელზედაც ჩვენს პრესასა და თვით საზოგადოების კრებებზედაც არა ერთ გზის აღძრულა დაპარაკი), რომ ჩვენის ერის უდიდეს ნაწილში ჯერ კიდევ არ შესულა სწავლა-განათლების სხივი, ჩვენს სოფლებში ბნელა, „წიგნის მკოდნეა საბოლოო საძებარია, ნამაველი მსწავლებელი—იშვიათი და თუ სადმე უცხო სკოლები მოიპოება, უმეტესად გაღამგვარებელი, ან გაშაჩერჩეტბელი.

ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოებამ თვისი განყოფილებებით სწორედ ამ მხრივ უნდა გამოიჩინოს უნარი: უპირველესი ყურადღება მიუქციოს, როგორც არა ერთ გზის აღინიშნა, მხოლოდ და მხოლოდ ქართულთა შორის წყაპითვის გაგრძელებას: სკოლების გახსნას, შესაფერ მსწავლებელთა შექმნა-მომზადებას და წიგნთ-საცავ-სამკითხველოების დაფუძნებას (არა მხოლოდ სებადთვის დებით, არამედ საკითხავ წიგნის ს. შიწადებთათვის). დიდ ტანიან წიგნების გამოცემა, მუზეუმთა თუ სხვა, ჯერხნობით მაინც, მთავარი მიზნის შემყურხებელია: როდესაც ჩვენი ხალხი—გლეხობა—წერაკითხვას შეესწავლის და მშობლიურ ნიადავზე განვითარდება, მაშინ საკითხავ წიგნთთითონვე მოსძებნის და წარსულს საგანძურის დაფასებასაც შეიძლებს...

დასკვნა: ხალხის შეგნებულმა შეილებმა ჩვენი სამშობლო უნდა მოაჭინონ წ. კ. ს. განყოფილებებით, ხელი შეუწყონ საზოგადოებაში მრავალი წევრის ჩაწერვას და საყოველთაო სავალდებულო სწავლა-განათლების შემოღობას სამშობლო ენაზე...

და როდესაც თითოეული ქართველი თავის გულის ძაფებით ქ. შ. წ. კ. საზ-ს გადაეკისოვება, სიტყვიერი და ნივთიერი დახმარებით ასაზრდოებს, მაშინ ჩვენი აღორძინების წყაროც უხვად გაღმოსჩქეტეს და უკვდავებად გვესაღბუნება...



ჩემს სამშობლოში

ჩემი სამშობლო კოლხეთს აღარ ჰგავს. იქ ყოველივეს უცვლია ფერი, იქ ენდარ ნახავ ცელქ, შალხაზ ბავშვებს, ყველას თვალთაგანს ჩამოსცივს კრემლი და რომ ჰკითხო:

—რა მიზეზია, რისთვის ხარ, ბავშვო, შენ დაღვრემილი?

პასუხად მოგცემს:

—უცხო ენაზე მწრთენიან აღმზრდილნი, არ მისწავლიან სამშობლო ენას, მაწყველინებენ მით ბედის წერას.

ჩემს სამშობლოში ასულს ბევრს ნახავთ უცხო ჰანგებით ნახად მომღერალს, მაგრამ მათ შორის ვერვინ ახერხებს მშობლიურ ენით ტკბილად საუბარს.

ტურფა კოლხეთში მგოსანს ბევრს ნახავთ, კოცნა-აღერსზე მუღამ მღეროდეს, მაგრამ ვინ არის რომ თვის ლექსებით ხალხს საბრძოლველად მოუწოდებდეს?

მტირალს ბევრს ნახავთ ამ ჩვენს მხარეში, ყველგან გაისმის გლოვა საზარი, მაგრამ რომ ვინმე წამოიძახოს: აწ განახლების ჩამოვკრათ ზარი! — ამისი მოქმელი არავინ არი...

სწავლულს ბევრს ნახავთ, იციან მრავალ ერთა აწმყო-წარსული, მაგრამ თუ მათი სამშობლოც სუფევს, ამისი მკოდნე აბა ვინ არი?

გმირებიც გვყვანან, მეკობარს ძილში დასცემენ მახვილს.

მონაც ბევრია, მტერს ერთგულად უწე-

ვენ ყმობას, თვის სამშობლოს კი არ აკლებენ კიციხეს და გმობას.

რას გეგხარ. ჩემო სამშობლო მხარე?

თუ მტერმა ბრძოლა გამოგიცხადა, მონურად ქედი რად მოიხარე?

ასულნი შენნი თუ შეურაცხვეს, ვაჟკაცი ზაინც ვერ დაიფარე?

აღსდები ისევ და დამანახე შენი ფარული ძლიერად-დიდება, თორემ ურწმუნოთ აღარა სჯერათ მთვლემარე ტალღის კვლავ აზვირთება.

ხალხი კენებს და სწუხს, ხალხი ვალღებს, შრომის შვილს შრომის არცინ უფასებს...

მაღე ჩამოჰკარ განახლების ზარს, ბრძოლით იპოვი თავისუფალ გზას!

მთ. ხომალაიძე

მადლიანი მუშაკნი



დავით იაკობის ძე თედეშვილი.

ყველა ბუბი ბუბისო,
ფუტკართან ყველა ტყუისო.
ხალხური

საფრანგეთის მთავარი ლუი მე-XIV თურმე იტყოდა: „საფრანგეთი მე ვარო“... რამდენი, სხვისი შრომით გასიებული, ყელში ქონ-მორეული თავხედურის მედიდურობით იტყვის ხალხმე: „ქვეყნის სიმდიდრეს მე ვქმნიო; „ან რომელიმე გვერდზე წამოწოლილი, მსხვილი მესაკუთრე გაიძინის: „მთელი სოფ-

ლის გლეხობას მე ვკვებავო.— დიად, სწორედ იმ გლეხს და მუშას, რომელთა მადლიან შრომა-გამრჯელობითა და ძარღვიან მკლავებით აშენებულია მთელი ქვეყნის კეთილდღეობა...

რამდენიმედ ესევე ითქმის საზოგადო ასპარეზზე მომქმედ ბევრ პირზედაც, ეგრედ წოდებულ საზოგადო მოღვაწეებზე: ზოგს იმათგანს რომ ჰკითხოთ, — ამა თუ იმ საზოგადო საქმის კეთილდღეობა მთლად ჩემზეა დამოკიდებული და მე რომ არ ვიყო, — არაფერი გაკეთდებოდაო.

რა თქმა უნდა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბევრს ნიშნავს ამა თუ იმ კერძო პირის გონება-გამჭრიახობა, საქმიანობის უნარი, ინიციატივა, მაგრამ ყველა ამ დადებითი მხარეებს მხოლოდ მაშინ ჰმოსავს მადლი და ემატება მნიშვნელობა, როცა ყოველივე კეთდება თვით საქმისავე სიყვარულით და არა სხვის დასანახად, სახელის მოსახვეჭად...

ეს, ცოტა არ იყოს, გძელი წინასიტყვაობა ვგათქმევინა, როცა შეუდექით, ორიოდე სიტყვით, დაგვეხასიათებინა, თითქოს უჩინარი, მაგრამ დიდ-ნაყოფიანი საქმიანობა დაჯივთ აკობის ძის თედეშვილისა ბაქოს ქართველ საზოგადოების ცხოვრებაში. ვიცით რა ბ. თედეშვილის მოკრძალებული ხასიათი, უპირველესად წინაღვე ბოდიშს ვიხდით, რომ შეიძლება ცოტა ნაადრევად და საჯაროთ ვიხსენიებთ იმის საქმიანობას.

მოგეხსენებათ, რომ საზოგადოებრივ ცხოვრების ასაღორძინებლად არა კმარა მხოლოდ ერთი რომელიმე ცენტრის მუშაობა, — საქი. როა ცენტრს გამოეხმაუროს პროვინციაც, რომ საქმიანობამ ფართო ხასიათი მიიღოს და უმთავრეს ძალამდე, კულტურულად ჩამორჩენილ ხალხის მასამდე, მიაღწიოს. ჩვენდა სასიამოვნოდ, ამ ბოლო დროს, გვარიანი გამოცოცხლება დაეტყო ჩვენს პროვინციას, ამ მხრივ საპ.ტიო აღგილი უჭირავს ბაქოს ქართველ კოლონიის საზოგადოებრივ ცხოვრებას.

ბატონებმა უკვე მოახერხეს ქართულ სკოლისათვის საუკეთესო ადგილზე დიდი შენობის აგება, სადაც ასზე მეტი ხელმოკლე ქართველთა ქალ-ვაჭნი მშობლიურ ნიადაგზედ

იწვრთნებიან; კარგა ხანია საქველმოქმედო და ღრამატიული საზოგადოებანი არსებობენ; მოქმედობს ქართველ ქალთა წრე, ბიბლიოთეკა-სამკითხველო; ყოველ წლიურად და სისტემიურად იმართება ქართული წარმოდგენები, სეზონის განმავლობაში, ქართული საღამოები, რომლებიც წლიურად 5-8 ათას მან. იძლევა და სხ. ამითვე აიხსნება, რომ ყოველივე ჩვენი საზოგადოებრივი ავი თუ კარგი მოვლენა იწვევს ხოლმე ჯეროვან გამოხმაურებას ბაქოს ქართველებისგან. მართალია ამ 15-10 წლის წინეთაც იმართებოდა ხოლმე ბაქოში ქართული საღამოები და, ხ ნდისხან, წარმოდგენებიც, მაგრამ მაშინ უფრო შემთხვევითი სიათი ჰქონდა და ამათ უფრო ინტელიგენცია ერთობოდა.

ამ კულტურულმა მუშაობამ სისტემატიური ხასიათი მიიღო მხოლოდ მას შემდეგ, როცა, ამ ხუთმეტი წლის წინედ, ბაქოში გადმოსახლდა ბ. თედეშვილი. ჩვენ დიდხანს ვიყავით აწლო მოწმენი დ. თედეშვილის საქმიანობისა და მიუკერძოებელის გულწრფელობით და თამამად ვალიარებთ, რომ იმის უზადო, თავდავიწყებამდის, საზოგადო საქმით გატაცება პირდაპირ გასაოცარი იყო და ეხლაც არის. ის იმდენად იყო ამ კულტურულ მუშაობით გატაცებული, რომ არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ამისათვის იმას აქვბდნენ, თუ აძაგებდნენ. ოღონდ კი თვით საქმე მოგვარებულაყრ და რაც მძიმე და შავი, სხვისგან არ დასანახი, სამუშაო იყო, თვით კისრულობდა. დილის 6-7 საათიდან პირუზმო 11-12 საათამდე, თვის კერძო საშახურს უნდებოდა და იქიდან დაბრუნებისას, იმას ვერც კი შეაყენებდა მოხუცი დედას მუდარა, რომ ერთი ლუკმა პურით მაინც დანაყრებულ იყო. — დაჰკრავდა თეხს და ქალაქის ერთი უბნიდან შეორეში დ რბოდა, რომ დეეთანხმებინა და თავი ბოეყარა, ხშირად ფინიან, თანამშრომელთათვის.

ძალიან ხშირად, პირად დამცირება-შეურაცხყოფას უსიტყვოდ იტანდა და მხოლოდ თვისი გაუტყებელის ღმობიერებით, მოთმინებით და თვით საქმის საარაკო სიყვარულით უყრდა თავს და ამოძრავებდა იმ ძალებს,

რომლებიც საქირო იყვნენ საქმის მოსაგვარებლად.

წარმოდგენის გამართვა იყო საქირო, საღამოსი, ან თუ რამ სხვა საქმის მოგვარება, — ის იყო, ხშირად ძალითაც, მონაწილეთა შემკრებიც, ნებართვის ამღებიც, როლების გადამწერ-გამნაწილებელიც, რეჟისორიც, სცენარიუსიც და უბრალო მუშაც. — აი ის ერთი უმთავრეს ღერძთაგანი, რამაც თვალსაჩინოდ აამოძრავა ბაქოს ქართველობის შეგნებული ცხოვრება.

ჩვენ კიდევ ბევრი რამ შეგვეძლო ვაგვეხსენებინა დ. თედეშვილის საქმიანობის სრულ-საყოფელად, მაგრამ, ვიმეორებთ, ვეკრძალვით რომ არ დავიმსახუროთ წყრომა ამ მორიდებულად პატიოსან მუშაკისაგან; ვიტყვი მხოლოდ, რომ ამ დუხჭირ დროში, მხოლოდ თედეშვილისთანამადლიანი, ფუტკრისებური მუშაობა აშნოიანებს და ხალისის მომგვრელად ალაშახებს საზოგადოებრივ ცხოვრების სხეს. ამიტომაც ვუწურვით დ. თედეშვილს დღეგრძელობა თვის მადლიან და მისაბაძავ კვალის გასაგრძელებლად.

გ. ახალციხელი

გ ა ნ ც დ ა...

ჩვეულებრივი დამეა...
 ზეცას მთვარის შუქი მოჰფენია... ჰაერი, ვით გაყინული მდინარე, შეხუთულია... მთვარე ზანტად მისცურავს, ხანდისხან ღრუბელთ ეფარება, რის გამოც მიწას ალაგალაგ ჩრდილი ეფინება.

უცებ კარგა მოზრდილ ღრუბლის ჩრდილი დაეფინა ჩვეულებრივ სოფლის დარბაზის სანათურს და მუნ მცხოვრებთ სიზნელო მოჰფინა.

— ჰა... ვიჰ!...
 მოისმა ჩამ ბნელებულ დარბაზიდან მოხუცის ხმა.
 — რა იყო, გენაცვა, შვილო! გველი ხომ...

— არა, არაფერი! მიუგო ქალმა. — აი, მთვარეს შევეკეროდი...

— და ღრუბლები გადაეფარა?! შეშურდა მისი სინათლეც. ეგ, შვილო, ჩვეულებრივი მოვლენაა: მალე გადაიყრება, მალე...

— დიახ, დიახ, მალე...

განიმეორა გულში ჩაკვლით და ისევ მი-
აშტერა თვალები სანათურს, რომლიდანაც
მთვარის შუქი აღარ ჩამოდიოდა; ბნელოდა,
ხოლო წარსულს კი ნათლად ხედავდა.

განცილილს განცილიდა...

1

კარგა ხანია მას შემდეგ ..

აგერ, — გაახსენდა შუშანას, — სოფლის
გზის პირას, ორ-ლულიან წყაროსთან; მამის
ლუქანი; მის უკან მათი სადგომი: ორი ოთა-
ხი, ეზოში პატარა ბაღი.

ყოველ კვირა-უქმეს ამ ლუქნის წინ იკ-
რიბებოდა მთელი სოფელი; აქ სჯა-ბაასობდნ
გლეხნი თავიანთ ქირვარამზე და, ბოლოს,
აქავე, ამავე ლუქნის კედლებ შორის იწურე-
ბოდა მათი შრომის ოფლი.

— „სწორედ დასაწვავია ეს ღუქანი“. —
გაახსენდა შუშანას ილიას სიტყვები. — „ღუქა-
ნი საქიროა, არა სასმლისა; არამედ სხვა სა-
ვაჭრო საგნებისა, რომელიც სქიროა სოფელ-
სა; რაც უნდა იყოს სასოფლო, ხალხნო, სა-
სოფლოი“...

— სწორედ, აი, ამისთვის სძულდა მამა-
ჩემს ილო .. წაიფურუნა თავისთვის შუშანამ
და გაეხვია მოგონების სურათში.

2

პირველად არბოს იყო, რომ ილოს სიყ-
ვარული ჩაუვარდა ჯერედ გამოუცდელ გულ-
ში. აგერ, ტრიალა მინდორი, სადაც რამდენი-
მე ქვითკირისა და აღიზის სახლს შორის მშვე-
ნიერი, მაღალი, აგურით აგებული წმ. გიორ-
გის ეკლესიაა. ამ ეკლესიასთნ აუარებელი
დაჩარდახებული დ. შვებული ურმება; ერთ
მხარეს ათასგვარი სავაჭროა დროებით გამარ-
თულ ფარდულებში; მეორე მხარეს კი სალ-
ხინო მოედანი, რომლის ნიადაგი კალოსავით
დატყეპნილია.

აი, წირვა გამოვიდა, შუშანა მოედნისა-
კენ გაეშურა; აქ ყმაწვილობობას წრე შე-
მოველო, ზურნა უკრავდა.

აგერ, ყმაწვილებში ილო: მხარ ზეჰიანი,
სხარტი; ყარყარა ყელზე მორგვალო თავი,
ლამაზი ნიკაპი, მარწყვივით აყვავებული ტუ-
ჩები, ზე წამოფარებულ წაბლა გრებილა ულ-

ვაშებითა; მოყალიბებული ცხვირი, ფართე
შუბლი ზედ ქოჩორით, ამშვენებს სხეულს;
ხოლო წყნარი თვალების და მოლიმარი სახის
გამომეტყველება მოგაგონებთ კეთილ და მშვიდ
ლომსა. აი, ეს არის ილო, რომელიც შუშა-
ნას გულს უტოკებს და რომელსაც იგი,
მთელ იქ ყმაწვილ ბიჭთა შორის, გულის ტოკ-
ვით შეჰხარის...

ილო გამოვიდა თამამად, შეიჭრა წრეში,
დასწვდა მიწას, ხელები დაიფშვნიტა და ღი-
მილით გაუწოდა ძარღვიანი ხელი მოპირდა-
პირეს.

მეორე მოქიდავე არტემაა, დაბალი და
ჯმუხი; მის დაბალ სხვილ კისერზე მოზრდი-
ლი თავია: სხვილის ტუჩებით, ფართე უღვა-
შებით, ფართე ნესტოებიან ცხვირით, შავის
თვალ-წარბით და დაბალის შუბლით, ყოველ-
თვის გაუცინარი, რომელმაც უხალისოდ ჩა-
მოართო ხელი.

შეეკიდნენ ერთმანეთსა.

არტემა ხომ შუშანას მამის დახლიდარია;
თითქო უფრო ახლობელიც; მაგრამ შუშანას
მაინც ილოს გამარჯვება უნდა.

— „მერე და არტემამ რომ წააქციოს?..“

— გაუვლოვა შუშანასა. — „არა, არა! უწინამც
ლდე დამელიოს“... — მისთვის ეს აუტანელი
იქნებოდა. მას სურდა ილოს გამარჯვება.

არტემამ საღმა გამოზლო, ილო წააბორ-
ძიკა; მაგრამ შემაგრდა.

აი, ილომ თვისი ძარღვიან მკლავებით
არტემა მიიზიდა, შემოატრიალა პატარა წრე,
ჰკრა მოგვერდი და ძირს კუნძივით დასცა...

— იპ, შენ კი გენაცვალე .. — ამოსკდა

შუშანას გულიდგან ილოსადმ; დედასკენ კი
მიიხედა, ხომ არ გამიგო, და შემდეგ, თავის
შავის თვალებით, ისევ ილოს მიაჩერდა...

ღმერთო! მას შემდეგ რამდენი წვა-დაგ-
ვა არ გამოუვლია: რამდენჯერ ჩქვი არ შე-
ჰპარვია ზოგიერთ ლამაზ გოგოზე, რომელიც
ეშმაკურად შესცინებდა ხალმე ილოსა, რის
გამოც ღამეები მოუწევინად გაუთენია.

და, აი, ძლივს დადგა წუთი, როდესაც
შუშანას შემთხვევა მიეცა თავის გულის ნა-
ღები გაეზიარებინა.

ს. გლახაშვილი

(გაგრძელება იქნება)

ბედი ქართლისა

ისტორიული ჟღერებისა 4 სურათად
(გაგრძელება. იხ. 3. თ. და 3. № 47)

VI

აგინავე და ჰაჯი-იბრაჰიმ-ხანი

(ჟერ გამოდინ შეოშარნი და ქეშეანი, ამაღს, სუფ ოტი კატი და მწკრივად დადებობან. მერე კაშთაე ქაჯი თავისის თახი კანით. ერთს მოაქვს ოქროს ხონხასე შაჭის ფირმანი და მუოტეს შაქის ბარათი. ამათ მოგვეება თათარი. მეუთის თრს მსახურს, ქეშეკატანს, შეშაქეს ოქროს ხონხით სხვა და სხვა სანთავაგე ქაჯისათვის, სხვა და სხვა ხაირ-ხაირი ტბაღუული, ხიდი, ვინჯარი შექარი და შარბათი და დასდემენ ქაჯის წინ მაგიადაზედ ანუ ტაბლახზე. მამის რაღა ქაჯი ჩამოჯდება)

ჰაჯი-იბრაჰიმ (მეტის-მეტე თამამად მოდას, ამავედ უნქარის ვეუღას. გიორგის ძაღიან დაბლა დაუხრის თავს, ხელებს გუღაზე გადისეგეს და მივს სავარძელთან, რამეჯსაც თათარი უჩვენებს, ტახტის შირდაზირ და ჩამოჯდება. იმისი ამაღს აგრედვე საღამს მისცემს გიორგის და ქაჯის შუან დადებობან მწკრივად) საღამს გიღლენი, მეფევე, ჩემს დიდსა საღამსა! გულსა ჩემს უხარის, რომ გიქვრეტ შენ მაგრე ჯანპროთელს და მაგრე ბედნიერს!.. ორი თვე მოულოდნელად ვესწრაფებოდი ამ ჩემთვის ბედნიერსა წუთს, რომ მეღირსა ხილვა შენი კეთილშობილისა სახისა და აჰა, მაღალმა ალლაჰმა მაღირსა ეს ბედნიერება. ვაკურთხოს მაღალმა ალლაჰმა მრავალ ეამიერ! როგორა ბრძანდები ახლა მეფევე, ავად იყავი, ახლა როგორა ხარ?

გიორგი. გმადლობ საღამისათვის! ცუდითა ვარ, ცუდით! ვგრძნობ, რომ დიდს ხანს ვერ გავსტან.

ჰაჯი. ოჰ, ოჰ, ეგ რა ესმა ყურთა ჩემთა?! დაე, გამიქრეს ყურთა-სმენა საუკუნოდ, რომ ისმინეს ეგ შენი სიტყვა!.. ოჰ, მეფევე, მაგას რასა ბრძანებ! იცოცხლე, იცოცხლე დიდ ხანს სასიკეთოდ უუდიდესს ბაბა-ხანის ერთათვის და შენი პატარა სამეფოს სიყვარულისათვის.

გიორგი (შეაჭმუხვებება) გმადლობ ჰაჯი-

იბრაჰიმ-ხანო, გმადლობ შეგ სურვილისათვის! როგორ ატარებ დროს ჩვენსა, კმაყოფილი ხარ აქ ყოფნით თუ არა?

ჰაჯი. ოჰ, ოჰ! რას მიბრძანებ! შენსა ხრუნვის ჩემზედ არა აქვს სამზღვარი, რომელითაც შენ შე, შენი მოყვასი ასე უზვად დამაჯილდოვე, თუმცა მაღდევიე კი თითქმის ორი თვე, რომ ვლირსებოდი შენს ვარსკვლავისებურ თვალთა ხილვისა და შემოწყალა უზენაესმა ალლაჰმა და მაღირსა შე, უღირსს ხილვის შენთა ბედნიერთა თვალთა გუგათა. მაღლობელი ვარ, დიდად მაღლობელი მასპინძლობისათვის, მე კმაყოფილი ვარ და როდისაც ამაზე ყოველსა მოვახსენებ ჩემსა მაღალსა ყოვლად უუდიდესსა მბრძანებელსა ირანისათა, ბაბა-ხანსა, —ისიც კმაყოფილი იქნება შენი.

გიორგი. გმადლობ, ჰაჯი, გმადლობ.

ჰაჯი. (სანთავაგეს შექეცება ხანდახან) ნება მიბოძე ვიკითხო, ყოვლად წმინდამ და ყოვლად ძრიელმა მაღალმა ჩემმა ალლაჰმან როგორ მოჰხედა ძესა შენსა, დავითს, ხომ კარვად იმყოფება, მხიარულად არის?

გიორგი. ჰო... არის... კარვად... მაღლობელი ვარ!

ჰაჯი. ყოვლად მოწყალევე, ჩემო მეფევე, გიორგი, ნება მიბოძე მოვართვა ფარმანი ირანთა შაჰის უუდიდესისა ბაბა ხანისა და იმისი ბარათი მისს კეთილის და ვარსკვლავისებრივე მწიფე ხელით დაწერილი. (ერთს თავისიანს გამართმევს ოქროს ხონხას, რამეჯსუდაც ფირმანი ძვეს, შეუახლოვდება გიორგის. ცალ მუხლზე დაინაქებს, ხონხას თავზე დაიდებს და ისე შიართმევს გიორგის. გიორგი წამოდგება და აიდებს ხელში ფარმანს, ხონხას თათარი ჩამართმევს და გადასცემს ერთ-ერთს აქ მდგომ ქეშეკატანს. ამის შემდეგ მეორე სხაჩსი შიართმევს ქაჯის მეორე ხონხას. გიორგი აქედანაც აიდებს ბარათს. ამ ხონხასაც თათარი გადასცემს ქეშეკატანს; რამეჯსაც ორივე ხონხა გააქვს სტენიდან. ორივე სხაჩსი, რამეჯსაც ხონხები უჭირავთ, ქაჯისავეთ ცალ მუხლს მოიდრეკენ გიორგის წინაშე და რაღა ქაჯი წამოდგება, ესენიც წამოდგებიან და მივლენ თავ-თავის ადაგას და ისე დადებობან, როგორც წინად. გიორგი ფარ-

მანსაც და ბარათსაც გადასცემს თათს, რამე-
ლიც გიორგის ფერხითი დასდებს ტახტის მესა-
მე საფეხურზე. ჭაჭი ამას რომ დაინახავს, ცო-
ტათი შეიჭმუნება უკმაყოფილების ნიშნად).

გიორგი. ამას მე გადაეშინჯავ, გადავი-
კითხავ და პასუხს არ დაგიგვიანებ.

ჰაჯი. იქნება კიდეც ორი თვე მაცდევინ-
ო?! არა, კმარა ჩემთვის რაც მე ვიცადე!
დღეს თუ არა, ხვალ მაინც მიწყალოზე შენი
პასუხი... მე ნებას ვაძლევ ჩემ თავს, მოგმარ-
თო უმდაბლესისა თხოვნით, ჩემო მბრძანებე-
ლო, მარტოდ დავჩრეთ მე და შენ, რადგა-
ნაც საიღუმლო რამ მაქვს მოსახსენებელი.

გიორგი. მე, წმიდათ ვიცავ განსვენებუ-
ლი მამი ჩემის, გრეკლეთ მეფის ანდერძს, რომ-
ლის ძალით, 1788 წელს რუსეთის სახელმწი-
ფოსთან ზავის შეკრულობით მე მივიღე მფარ-
ველობა რუსთა მეფისა და ამიტომაც არ შე-
მიძლიან შეწყნარება სხვისი ვისიმე თხოვნის,
თუ ამახელ რუსთა მეფის ნება-რთვა და დას-
ტური არ შექმნება, ამიტომაც არავითარს სა-
იღუმლო საუბარს ვერ გაგიწევ უვეზიროდ.
(უჩვენებს კოვალენსკიზე, რამელიც ზის სავარ-
ძელზე გიორგის ტახტის გვერდით, მარჯვნივ)
არამც თუ ვერ გაგიწევ, არც მინდა მაგის-
თანა საიღუმლო საუბარი.

ჰაჯი. ოჰ, მოწყალეო მბრძანებელიო ჩე-
მო! ბედნიერადა ვსთვლი ჩემ თავს, რომ საი-
ღუმლო საუბრის ნებას მაძლევ რუსთა ვეზი-
რის თანადანსრებით. (კოვალენსკის, წამოადგო-
მით მიძიქვ დაჯს დაუგრავს, აგრედვე ამისა ამ-
დაც. კოვალენსკი ოღნაჟ უგრავს თავს) მაგრამ
გთხოვ, სხვანი ყველანი დაითხოვე აქედან.

გიორგი. კარგი! მაგ შენსასურვილს აღ-
ვილად შეგისრულებ! ამილახორო ოთარ! აღა-
სრულეთ ჰაჯი-იბრაჰიმ-ხანის სურვილი. (თათარა
წამოუღის ყველა იქ მდგომთ და ყველანი გა-
უღენ თადიან კარებში)

VII

**გიორგი მეოვ, კოვალენსკი და ჰაჯი-იბრა-
ჰიმი.**

ჰაჯი. მე... ჩემი დიდი გაცვირება უნდა
მოგახსენო, რომ შენ ტყუილბუბრალოდ და
დაუმსახურებლად დამტოვე უსაქმურად შენს
ქალაქში მთელი ორი თვე, რომ ჩემი თანა-

მდებობის ღირსებისამებრ მიგელე სადარბა-
ზოდ.

გიორგი. მაგისი მიზეზი შენ კარგად იცი,
მე ავად ვიყავი და ამიტომაც ისე ვერ მიგი-
ლე, როგორც საჭირო იყო.

ჰაჯი. მაინც და მაინც შენ ისე არ მი-
მიღე, როგორც საჭირო იყო ელჩის მიღება
და როგორც დაწესებულთა უცხო ქვეყნის
წარჩინებულთა პირთა მიღება! შენ უნდა და-
მხვედროდი შენი სასახლის შესასვლელ კა-
რებთან და არა ტახტზედ მუდოვარე შენი
მემკვიდრე მაინც უნდა დამხვედროდა კარებ-
ში, მაგრამ შენ ავად ხარ, როგორცა ბრძა-
ნებ, მაშ მავს დავანებოთ თავი! რომ არც
შენი ძე ვინმე დამიხვდა კარებში, აღბად რა-
მე მიზეზი იქნებოდა. მაშ ამასაც დავანებოთ
თავი!.. ირანთა მყრობელი, შრისებრი, ჩემი
ყოვლად მბრძანებელი შაჰი ბაბა-ხანი ფრიად
გაკვირვებულია, რომ რალაც იმისთვის ვაუ-
გებარის მიზეზით შენ მოუსპე შაჰს ყოველი
მეგობრული კავშირი და სპარსეთს აღარავი-
თარს საქმეზედ აღარ ეკითხები. ბაბა-ხანი
ძველებურადვე მოწყალე თვლით გიმხვს!..
როცა წაიკითხავ მაგ ფირმანს და ბარათს, რო-
მელნიც აგრე უღირსადა გდიან შენს ფერხთა
ქვეშ, მაშინ კარგად შეიტყობ, თუ რა წყა-
ლობას გიმზადებს შენ შაჰი და მაშინ უარს
არ იტყვი იმის სურვილის აღსრულებაზე და
იმის მტკიცე ბრძანებაზედ.

გიორგი. სპარსეთთან რაიმე საქმეების
გასარიგებლად რუსთა იმპერატორის ვეზირი
ბრძანდება ჩემთან და ამიტომაც პასუხის მო-
ცემა შემძლიან (ხოლოდ ამვეზირის პირით...
მაგრამ, შინდა შენგან მოვისმინო, რა სურვი-
ლი აქვს შაჰს და რა მტკიცე ბრძანება არის
იმისი?)

ჰაჯი. შაჰს ჰსურს, რომ ყოველი უკმა-
ყოფილება თქვენ შორის მოსპობილი იყოს
და თავისი უხვი წყალობის ნიშნად და შენი
ქვეშევრდომობის დასამტკიცებლად, თავისი
საყვარელი ძე, აბას-მირზასათვის თხოულობს
ასულსა შენსა თამარს, რომელიც თავისის
უუბრწყინვალესის სილამაზით დაუმშვენებს
იმის სიკოცხლს.

ქ. ყიფიანი

(გავრძელება იქნება)

სისვერი უკვილები

1.

დ. შ. წ. კ. ს. მოლ-
ვაჟანი *)



დ. შ. წ. კ. ს. მოლ-
ვაჟანი

ფოთოლთ შრიალს დაჩვეული რად შეაკრთე ჩემი სმენა?
რად მიქციე ტრფობის ალად ტყის უსიტყვო აღმ.ფრენა?
შენს სიმღერას ნეტავ ნისლი მოხვეოდა სხივ-ამდნარი,
ნეტავ ფიქვთა უწყვეტ ღალადს დაეფარა ხმა ნარნარი!
შენს ხმას გრძნეულს დავედვენე, შენ გამექეცე, არ მეჩვენე,
დღე დაგკარგე შენის ძებნით, დამე ტყეში გავათენე.
და რიფრაჟზე, როს ტირიფი დილის ცვარით ფოთლებს ჰბანდა,
ტბის ნაპირად, ტბის სარკეში შენი სახე მომელანდა.
მე ავკვეთე ქავლი ტბისა, სარკედ შლილი ბროლის ალი,
ტბას წავართვი შენი სახე, წყალში ღონდათ გამომკრთალი,
და სურათი ხელთუქმნელი გულს ჩავიქდე, შევინახე.
შენ, ტირიფში დამალულქა, რტოთა რხევით გაიცინე.
რას იცინი? მე რაც მსურდა, ხედავ?—უკვე შევიძინე—
ტბას არა აქვს შენი სახე, თუ არ გჯერა—მოდი, ნახე!

2.



დ. გ. კავტავაძე

დღეს ნუ წახვალ, ჩემთან დაჩი, დღეს, ხომ ხედავ, სულ სხვა დღეა,
დღეს ტბა, ხედავ?—ტყეს ემსგავსა, და ტყეში კი ვით ტბა—ტყეა.
დღეს ზეცაში მეჯლისია, უყვიან ცეცხლის რაშებს,
დღეს ზეცაში ცის მეუფე ანგელოსებს ათამაშებს.
მაშ რად არის ტყე ამ გვარად მორთული და მოკახმული?
მაშ რად ტოკავს ეს ფოთოლი; ვით პეპელა ფრთა-ასხმული?
ან შეხედე, ვგერ, მწვერვალს, რამ მოჰქარგა ის ამ გვარად?
მაშ, სთქვი, რატომ ამუსიკდა ტყის მიდამო ღვთიურ ქნარად?
დღეს უთუოდ დიდი დღეა, ციურ არსთა სამო დღე.
მიტომ არის დედაშიწაც სხივნაფრქვევი ვით სამოთხე;
და ჩემს სულსაც ეს მშვენება ასე მიტომ აელღარებს.
დამიჯერე, დიდი დღეა, მაშ რად მათრობს მე ხმა შენი?
რად მაგონებს ვარსკვლავს შუქი, შენს თვალებში ელვად მჩენი?
ან თმა, შუბლზე მოთამაშე, ასე ძლიერ რად მახარებს?..

3.



დ. გ. მჩაბელი

შუქ-წითელი ვარაყ-ნამით მთა დათრთვილა ღრუბლის ქაფმა,
ცისკ-ღური ამოჰქარგა მზით დაფერილ ცეცხლის ძაფმა.
მზე ჩავიდა ლაქვარდ ნისლით აფერადდა მთის ხვეული.
დარჩა მზისგან ორი სხივი, შენს თვალებში დამწყვდეული.
და შენი თმა, ღმერთო ჩემო! აღის ტალღებს დაემსგავსა.
თითქოს ზეცით ვარდის წყალი დაესხურა დაღალ-კავსა.
ჩამავალ მზეს შენი სახე ალბათ ისე მოეწონა,
რომ დასტოვა მან შენს თმაში ოქროს სხივთა მთელი კონა.
ჩემო სულო! მე, შენს მძებნელს, წინ მზის სხივი მიმიძლოდა,
და ჰა, გნახე მზის პირისპირ, ამისრულდა რაც მინდოდა,
და ვით ღვთიურ ქანდაკებას მუხლ-მოყრილი შემოგცქერი,



ს. ს. შესნი

*) ზოგი სურათი ვერ
ვიშოვნეთ.

მაგრამ ვაგლახ! ცის დასავალს ვერ მოვსწყვიტე შენი თვალი, მე ვერ მხედავ, ცას გაჰყურებ, სხივთ-აკორდით სმენა-მთვრალი, და შენს თვალებს ბადეს უქსოვს მზის თილისმა მრავალ-ფერი.

4.



ი. გოგებაშვილი

მე დავუცდი ღამის მოსვლას, რომ შენს ღიმილს მივეგებო, რომ შენი თმის ოქროს შუქით მე ფიქრები შევიღებო. თვალს მივაპყრობ ცის დასავალს და არ დავხრი განგებ თავსა, სანამ მწუხრი არ ააცლის ცას მზის სხივთა საღებავსა.

და რომ ღამის ანგელოსი ლურჯ კაბადონს ფრთას შეახებს, და ცის ტაძრის ასანთებად თეთრ ვარსკვლავებს დაუძახებს, მე ჩავიცვამ ღრუბლის პორფირს, ზღვი ქაფივით გათეთრებულს. თავს დავიდგამ თეთრ გვირგვინად შეუქ-ჩანჩქერა ვარსკვლავთ კრებულს.

და აყვები ბილიქს მთისას, რომ ოცნება განვიცხადო, რომ შენს ძახილს, ტყით მონასმენს, იქ, ტბის პირად დავუცადო, და ლოდინით მოღლილ გრძობას ტრფობის ალი მოვახვიო. ჩვენს თეთრ ნავზე გაიშლება თეთრი ღრუბლის იაღქანი, და გატყდება ბროლის სარკე, ტბის უზვირთო დასაქანი, და ტბის ვარდათ გაშლილ თეთრ ნავს მოიტაცებს ღამის სიო.

5.



ნ. ნ. ცხვეთაძე

მზემ გაღმოსაღა ქსოვილი თეთრის და წითელ ძაფისა. ლალის შადრევანს ერთოდა ციალი თეთრ სადაფისა. ამ დროს გიხილე ტყის პირად ყვავილი ოქროს ქაფისა, გაშლილ თმას ცეცხლს უღვივებდა ქროლა ნივის სწრ-ფისა

გნახე ცისფერი თვალები, წარბი—ნახშირის შავისა. მკერდზე—ორ მტოკავ თეთრ ვარდზე ორი მარცვალი მქნაფისა. ტანი ნაკვეთი ქვისაგან, თეთრი ვით ძვალი სპილოსი. ბროლის თითებზე ფრჩხილები ვარდისფერ მარმარილოსი.

თმა დილის შუქით ნაფერი, სხივები მზისა სრულისა, ტუჩები—ორი ნაპირი გამსკლარი ბროწყულისა და წითელ ვარდში მომწყვდეულ ცვარის სადარი კბილები. შენსკენ მრქროდნენ ყოველმხრით სხვა და სხვა ფერის ფრთისანი ფარფატ პებლებად ქცეულნი ყვავილნი მწვანე მთისანი და თამაშობდნენ შენს ირგვლივ, მზის სხივით განბანილები.

6.



ა. ი. სარაჯიშვილი



დ. კარტაშვილი

დილით, როს ცისკრის ღალადი გააქრობს ღამის ლანდებსა, სანამ მზის თვალი ფოთლებში ჩაჰყრიდეს ბრილიანტებსა, ჩემსკენ ისწრაფე, აჩქარდი, ტყეშია და გვიანდები, მე შენ მოგელი ყოველ წუთს, ლოდინით თვალ-ანანთები.

წუხელის ვნახე სიზმარი: შავი კლდის სვეტზე ვდგებოდი, შენი ძახილი მესმოდა, უფსკრულში ვიხედებოდი. ძირს მიტოცავდა ჩანჩქერი, ზვეიდან ვაკვირდებოდი, ჩანჩქერი გველად მოსჩანდა, შენ კი გველს ემალებოდა.

ა. შ. წ. ა. ს. მოლ-
ვაშენი



ე. რ. გაბაშვილისა



ა. მ. თ.-წერეთლისა



ბ. ი. ნაკშიძე

ნუ დაიყოვნებ, გენუკვი, აღრე აინთე თვალები,
წამოდი, ვიდრე მთის წვერზე დასცვივა ცეცხლის რკალები,
სანამ განახადეს მზის სახე, ტბის ქველში ნალივლივები.
მე მოვაგროვე ბალახში ფირუზი აღმას-ლაღები,
და შენ მოგელი დაღლილი, ლოდინით განაწვალები.
მოდი, დაგხედება ფოთლებში ჩემი ცრემლების შძივები.

7.

ფერად პებლებით ავაესე ჩანჩქერი შენის თვებისა, —
გშვენოდა თრთოლა-ფართხალი აფერადებულ ფრთებისა, —
გარს მოგხვეოდა დუმლილი შუადლით დამფერალ მთებისა,
ბადე გემოსა ფოთლებში შემოჭრილ მზის სხივებისა.

დუმლში ვპოვე ჩურჩული ათასნაირის ხმებისა.
ყური დავუგდე — მომესმა წკრიალი ამ რითმებისა,
ვით რეკა ვერცხლის სარკვეზე დაყრილი ძვირფას ქვებისა,
ვით მოციმციმე სიცილი ფოთლებზე მცურავ ცერებისა.

ავკრიფე პანგი ციური, მიწის კალთაზე მჭქეფავი,
შუქი ავსწურე მზიური, მიდამოს ოქროდ მღებავი,
ფერი პანგს შეუკავშირე, ვით ზვირთნი ჩენის ცნებისა.
და ჰა, ხომ ხედავ? — გამოჩნდა მშვენების საკურთხეველი, —
მალე დაპბურავს ყველაფერს ნარანარი, ვით საკმეველი,
კისფერი ნისლი თვალების, სურვლით ანანთებისა.

8.

გემძვბდი: ხან ტყეს ვფურცლოვდი, ხან მზის ნაპრაღში ეჭვრებოდი, —
გნახე: მზისაგან დევნილი წაბლის ხეს ეფარებოდი.
ჰგავდა ციმციმი შენი თმის ოქროს ფოთლების რხევასა,
გშვენოდა ტანის სიტიტვლე ვით უცოდველსა ვეასა.

შენ ვერ დათრგუნე დაღადი შეუცნობელის ძალისა, —
ენების ბურუსმა წაგართვა შუქი კისფერის თვალისა,
და გაიღიმე: აღმასმა ვარდის ფოთლები გაპკვეთა...
აღე⁴სის ცეცხლით დავფერფლე სიწითლე შენთა ბაგეთა.

და ვით ტლუ ნავი ცივ ზღვაში ცბიერ ზვირთებით დანთქმული,
კისფერ თვალებში დავკარგე ტრფობის წალკოტი აღთქმული
და გარს შეხვევა სირცხვილი, ვით სამის-შემოხეულსა...

სანამ შორს იყავ — გეძახდი, მხიბლავდა შენი სახელი,
ახლა შენთან მყოფს, დარცხვენლოს, რად მტანჯავს ჩუმი ნაღველი?
ნეტავ თვალს რისთვის ვარიდებ აქამდის ნანატრ სხეულსა?!.

9

ღამე მოვიდა და მთის თხემზე ჩრდილი გაშალა,
არ დააცალა ცის აქარგვა ღრუბლის ფერიას,
ლაყვარდ კუნძულზე აფეთქილი ბალი წაშალა,
ფრთა დააფარა წითელ ვარდსა და კისფერ იას.

ბენი დუმილით შეიმოსნენ ჩრდილ-მოხვეულნი,
და მთის ყვაილნი მწუხრის ქამად ბინდ-მონაფენნი,
ზე წამოფრინდნენ, ვით პებლები ფრთა-შერხეულნი
და ცაზე დასხდნენ ვარსკვლავებად მოკიაფენი.

ადგილს მოგნახავ შენის ფეხით ვარდანალახსა
და იქ გაგიშლი სარეცელად სურნელ ბალახსა,
და იქ მოგიციდი, შენზე ფიქრით თვალ-ახვეული.

შენზე ოცნება მე იქ ლოდინს გამიადვილებს,
მე იქ დავუციდი შენი სახის ცისფერ ყვაილებს,
ლამის აღერსით შემოსილი, ნამ-დაკმეული.

10



რ. დ. ვრისთავი

— ჰაუ! გეძახი ტყედ მავალი, შენი მძებნელი.
— ჰაუ! მომესმის მე პასუხად ჩემის ძახილის.
და კვლავ სიჩუმე იპყრობს ნიავს და სდუმს ტყე ბნელი,
ჰქრება ჩურჩული ფიქვ-ნაძენარის, ტოტებ-დახრილის.

ღამემ დაჭფარა ტყის ბილიკი შენსკენ აქრილი,
ნამულს ბალახზე ვედარ ვარჩევ შენს კვალს ნაცნობსა.
ბნელა გარშემო, და ტვერ-ახმულ მთების აჩრდილი
ახრჩობს ნაპრალში ფრთა-შებორკილს ღამის მნათობსა.



გ. თ. ყიფშიძე

ხეზე ავდივარ და გავსძახი ცის ბუქს მოწმენდილს,
მაგრამ შენს სახელს, ჩემს ბავთვან კენესით მოწყვეტლს,
უკან მიბრუნებს მთა მრისხანე ფაფარ-აყრილი.

— ჰაუ! გეძახი სასო-შქრალი და დამაშვრალი.
მთვარე ცალ-თვალა მთას ფურდნობა სახე-დამცხრალი
და მე დამცინის: — ჰაუ! მესმის გაშობახილი.

11

მე აქ მარტო ვარ, როგორც ქარი მთად მოთარეშე,
და როგორც ქარი მთის ორწოხში, ვგოდებ მე ხშირად.
უნათესავოს არავინ მყავს მე შენს გარეშე,
მოღლილი სულით რომ დავეყრდნო, უფსკრულის პირად.

დიდია სივრცე, ოთხივე კუთხით განუხომელი.
და მე მარტო ვარ ქვეყანაზე, ვესმის? — სულ მარტო.
შენ თუ ვერ მხედავ — ვისთვის ვიყო სხივთა მკრთომელი?
შენ თუ არ მისმენ — ჩემი ქნარი ვისთვის მოვმართო?

სხვა ვინ გაიგებს, ვის ვასმინო სკლის გოდება?
სხვა, შენს გარეშე, ჩემს სიმღერას ვინ ელოდება?
არავის იცნობს ჩემი სული არსად შენს გარდა.

მაშ რად მეკრძალვი, ხომ არ დასქენა შენს გულში ვარდი,
ჩემი ფრთა-ახმულ სიყვარულის კრემლით ნაზარდი,
ან დავიწყების ხომ არ ჰბურავს მას ბნელი ფარდა?



ა. როინაშვილი

მაშინ ტყე ჰგავდა ტბას მოციმციმეს,
 მაშინ ტყეს სამოსს ქრი არ ხეყდა,
 ზანტა ნიაგი კოცნით არხევდა
 ფოთლით დატვირთულ შტოთა სიმძიმეს.
 მაშინ ტბა ჰგავდა ტყეს აქოჩრილსა,
 მაშინ ტბა ტალღას შტოს ადარებდა.
 ნიაგი ფოთნილად დაატარებდა
 ვით მწვანე შტოებს—ტალღებს მოჩილისა.
 შენ შეგცინოდა მაშინ ჩანჩქერი,
 მზის თეთრ სიცილით თეორად ნაფერი,
 და ვერცხლის ჩანჩქერს შენ შესცინოდი.
 მთა ლაქვარდობდა ნისლ-წარბოცალი
 და კეკლუკობდა ტყე შემოსილი
 აბრეშუმითა და ოქსინოთა.

ახლა ტყის სამოსს ყვითელ ფარჩისას
 ცივი ქარი ჰხვეს დაუნდობელი,
 და ნისლი აქრობს ფრთა-ულმობელი
 სევდიან ღამილს სხივ-ამდნარ ცისას.
 ახლა სოყვითღე შემოდგომისა
 ებრძვის ზაფხულის ფერთა სიუხვეს;
 მთებში აკვნესებს ჩქერთა ციურ ხმებს
 მწარე ქვითინი დასავრდომისა.
 ტბა არ კოცნობს სხივ-შეჩერებით,
 ტყე არ იცინის ყვავილთ ფერებით,
 არც მზე,—ქალწული შუქურ-თმიანი.
 კლდე იკრემლება თვალ-ანატირი
 და ითლხება მთების ნაპირი,
 ოდესღაც ცისფერ ჩუქურთმიანი.

მე დღეს ვესტუმრე ნაცნობს ადგილებს,
 ვნახე მთის ფერდოს მწვანე საჩულო,
 ყვითელ ფოთლებით გადაფარჩული,
 და ვერსად შეეხვდი ცისფერ ყვავილეჭს.
 ყვავილთ ფერია ახლა არა ქსოვს
 ყვავილთა ნოხებს ცრემლ-ნათოვ მთებში,
 და ტყეს დამარხულს ყვითელ ფოთლებში,
 ია ცისფერი იქნებ არ ახსოვს.
 ყვითელ ტყესა ჰგავს ჩემი სულიცა,
 იქაც ცრემლს აფრქვევს ფერ-წასული ცა,
 იქაც ქვითინებს შანგი ქცობისა.
 მაგრამ ორ იის ცისფერ ყვავილსა,
 შენი თვალების მსგავსად გაშლილსა,
 იქ ვერ დააქნობს ფერფლი გრძნობისა.

ბაკურიანი, 1914 წ.

ს. აბაშელი

ქ. შ. წ. ს. მოღვაწე.



ლ. ბოლკვაძე

უკვალასი საბერძნეთის თეატრი

საბერძნეთში დრამას განვითარებასთან ერთად თანდათან გამოიშუშა და წარმოდგენების დასაღვამი შენობის ტიპიც. როგორც ვიცით, წინადა, სამსხვერპლთა წარმომადგენლენ თეატრს და პირველი წარმოდგენაც აქ გაიმართა ამიტომ როდესაც თეატრის შენობის ტიპის განვითარებას შეეხებოთ, შეუძლებელია არ შევეხეთ სამსხვერპლთა ტიპს. სამსხვერპლთა ტიპთან ხდებოდა სარწმუნოებრივი დღესასწაული. რომლის შინაარსიც წარმომადგენდა თეატრის ჩანასახს. სარწმუნოებრივი დღესასწაულის განვითარებასთან ერთად

სამსხვერპლთა ტიპის შენობებიც შეიქმნა. რამდენიმე ხნის შემდეგ ქვემოთ ახალდღეს სამსხვერპლთა ადგილი. გუნდი სამსხვერპლთა გარშემო იყო შემოკრებილი, ხოლო მსმენელები კი გუნდს გარს ერტყა. როდესაც შემოვიდა გუნდის წინამძღოლობა, მაშინ მათთვის სამსხვერპლთა მახლობლად გააკეთეს ხისაგან ამაღლებული ადგილი. დღეს ამ ადგილს სტენას უწოდებენ. ყოველი მსმენელი ცდილობდა დაეახლოებინათ იმ ადგილი, საიდანაც შესაძლებელი იქნებოდა უკეთესად ეტყინა სტენასზე მომხდარ ამბისათვის. უკანა რიგზე მყოფნი შესაძლებელნი იქნებოდა, ან მათ მიერ სახლიდან მოტანილ სკამს, მაგიდასა და ქვერბეჭე.

ამ გარემოებებში აძრულა დღესასწაულის გამართვების დღესასწაულზე მოსულ საზოგადოებისათვის ხისკან ამაღლებული ადგილი გაკეთებიათ. ერთხელ ესხიდაოსის ტრაგედიის წარმადგენის დროს ეს გაკეთებული ადგილი ხეტიკა და რამდენიმე კაცი იმხვევრძლად, ხალხსოტიკა დასახსნრა. ამის შემდეგ ხისკან გაკეთებული ადგილები შეცვალეს ქვის ამფითეატრებათ. ხისკან გაკეთებული სტენარ ქვის სტენარ და დააკეთეს. სტენარ მადგეს უკან მთელი შენობა, რომელსაც უწოდებდნენ მაშინ პროსკენის. წრესკენი ახე დღესადგელი კულისები მორთეს კალახებით, ქანდაკებით და ბარელაფებით.

საბერძნეთის ამფითეატრი დღევანდელ სათეატრო დარბაზზე ბევრად დიდი იყო. ათინის ამფითეატრი 27 ათას კაცს იტევდა. ბადასასურაგი არც სტენარს და არც ამფითეატრს არ ქონდა. წარმადგენები ხდებოდა და ცის ქვეშ დღის სინათლეზე. მროსკენი კი სტენარს აქით იყო, ამფითეატრადან არ სხანდა და იყოფოდა რამდენიმე თახანდა. ამ თახანებში მსახიობნი წარმადგენის დროს გადცივდნენ ტანისამოს. აქვე იხანებოდა მსახიობთა კოსტიუმები, ნიღბები და სხვა საჭირო ნივთები. გუნდი მოთავსებული იყო სტენარს წინ. მაგრამ უფრო დადბლებულ ადგილზე. ამ ადგილს ორხესტრს უწოდებდნენ, დღეს კი ორკესტრს უწოდებთ. ასეთი იყო საბერძნეთის თეატრის შენობა დასრულებულის სახით.

ბერძნებმა სათეატრო ხელთნების ოქსნიკური მხარე განვითარების უმადლეს საფეხურამდე აიყვანეს. სტენიურ ილიკიების განადიერებლად ბირველად იმათ იხმარეს დეკორაცი, რომელიც არისტოტელის დროიდან სოფოკლემ შემოიღო. ევეტიკების მოსახლენად შემადგებულ იქნა ატრედეუ სხვადსხვა მანქანა მსახიობის სამადლის გამოსახლად ხმარობდნენ მადლ ქუსლებთან ფეხსაცმელებს, გერეფოდებულ კატურნეს. ამ ხელებში კომისი მაკივრად ნიღბებს ხმარობდნენ.

მაშინდელ მსახიობის თამაში, რასკვირველია, განსხვავდებოდა ახლანდელი მსახიობის თამაშისაგან. ამფითეატრის დიდი დარბაზი თხოვლობდა მსახიობისაგან ხმამადლ და კვირილით დამარკს. მაშინდელი მსახიობნი რომ გრძნობუ-

ბის ბუნებრივთა და სინამდვილით გადმოცემას ცდილობდნენ, ამის მოწმობს შემდეგი ფაქტი. მსახიობმა ბოლმა, რომელსაც უნდადა სოფოკლეს ტრაგედიის „ელექტრაშია“ შეიღოს სიკვდილით მწუხარე დედის როლი შეესრულებია, გამოვიდა სტენარზე თაღხითა და მკვლარი ბავშვით.

საბერძნეთის უძველესი თეატრი სახელმწიფო დაწესებულება იყო. სახელმწიფოთნი აშენებდნენ შენობებს წარმადგენისათვის. სახელმწიფოებიკი ნიშნავდნენ დღესასწაულის გამართვებლ ორხონტებს. ესევე სახელმწიფოთ აძლედა მსახიობთა და ავტორთ ჯამაკირს და ავლებდა ხორცს, რომელშიაც შეძლებულ შირთა წარმომადგენლები შედიოდნენ, გამოვლით გუნდის შესახახი ფული „ხორცისა“ სახელწოდება სანატრიოთ ითვლებოდა და მისი მოვალეობა სახელმწიფოს ბეგრის მისკენა რამ იყო.

ამფითეატრებში შესვლა ბირველად უფასო იყო, მაგრამ შემდეგ კი, რომელსაც სახელმწიფოთ თეატრების იჭარიო ცაცემა დაიწყო. სახელმწიფოთ სახინა აძლედა მდიკე შეძლების მატრონს ორ ობოლს თითო სულზე, და ეს ორე ობოლი უთფინდით არამც თუ ბილეთის საუიდელოთ, არამედ წარმადგენის დროს გამატრელებულ სასმელის დასადლევად.

თავით წარმადგენას შეჯობების სასილით ქონდა. დიონისის უკველ დღესასწაულზე ერთმანეთს შეჯობებოდა სანამ ავტორი. თვითველ ავტორს უნდა წარმოედგინა სანამ ტრაგედი და ერთი კამედას. მსაფულებს, რომლებიც სწავებდნენ, თუ რომელმა ავტორმა გაიმარჯვა, ირწევდა ამჩვეულები, რომლებიც თავის მხრით თითო ოლქისაგან იყვნენ არჩეული.

დიონისის დღესასწაულებზე გამარჯვებია ადამიანისათვის უდაღესა მატრივი იყო. გამარჯვებულს ნება ქონდა დაეღვა თავისი ქანდაკება დიონისისათვის შეწირულ ოლქში, სადაც უნდადა ატრედეუ მისი სახელი გამოიკრეპიდა მარმონილის ფეხარზე და ერთი მადგემადან მკორე მადგემას გადაეცემადა. გამოჩენილ დრამატურმეტონხების სიკვდილას შემდეგ სახელმწიფოთ მათ საფლავზე სდებოდა ქანდაკებას (ესხილი) და ავებდა ბწეინგადე მუხობლებს.

რას განხილვების მატრონი იუვენ მაშინდელი დრამატურგნი და ან როდეს თამაშობდა თეატრი? ამაზე შემდეგ. ვიგლა მებუკე

სათეატრო დანი თელავში*

თელავს გასულ წაფხულს ბედი ვწია და თბილისას თეატრის მსახიობთა დანი ეწვია. სისხარულად, სასურველი მით მანტი იყო, რომ ახლო გაეცნობოდათ ხეუნი თეატრის მინაწარმა და ძალს. დასში იყვნენ: ქ-ნნი ნ. ჩხეიძე, ხ. დავითაშვილი, ს. ბუკინაშვილი; ბ-ნნი ქათრელი (რეჟისორი), კარიშელი, გომელაური, და (თრ წარმადგენს) ზე მოქმედი) ბ ნი იმედიაშვილი; ადგილობრივი მსახიობქალი ქ. გოგოლაშვილი და სტენის მოყვარენი. დაიდგა პიესები — ნათარგმნი: „უბედურა ნაბიჯი“, „სოფლის ექიმი“, „მედეა“, „ოტელიო“, „მარტინოტა გოტიუა და „მამულ-დედული“; ორიგინალური: „სამშობლო... ერისთავისა, „ციცინაოქა“ ნ. შიუკაშვილისა, „კანწირუფნი“ შოთა დადიანისა და „თავისუფალი სიყვარული“ ქ-ნ სევედიასი წარმადგენები ადგმობდა თელავის საკრებულო დარბაზის ხუთ ნაბიჯიან სტენაზე და პიესები „ოტელიო“, „მარტინოტა გოტიუა“, „მედეა“ სულ ვერ თავსდებოდა ამ სტენაზე, ვერც მისი მხატვრული მხარე უწყობდა ხელს. აშკარა იყო ეს პიესები დაიდა იმისთვის, რომ ეს თუ ის მსახიობი შესანიშნავად ასრულებს ერთ ერთ როლს, რაიც თეატრის მიზანს არ შეადგენს და ესეთი პირობების გამაჩინებლ შესანიშნავ მოთამაშეს ხელოვნების უღონებს...

ნათარგმნი პიესებს მეტი გულმოდგინება და მოხერხება გეუფობდა დადგმაში, ვიდრე ორიგინალურებს. ეს თუ ჩვენ სტენაზე ჩვეულებრივია, დამხარხველია დრამატული ლიტერატურისა.

საზოგადოება განსაკუთრებული ინტერესით მავიდა ორიგინალური პიესების სანახავად გტყუარი ნიჭის პეტროვის ნ. შიუკაშვილის „ციცინაოქა“ მთარგმნელთა ახრის კაცვლაგამოცულა მეტად შესძლო და დაკვირვებით იქმნა მოსმენილი. პიესის ახრი, აკინძვა სიტუების მახვილად და გასტად თქმა თვით მარადოქსებისა და ცოცხლად აწარმოებს მოქმედებას. იდეა პიესისა თუმც ახლი ამერიკა არ არის (ან რაშდენი უნდა იყოს ამერიკა!), მაგრამ ჰერმანობა როგორ ხორჩად სჭრის იგი აუტორის

გულს. სედავთ ავტორი როგორ მძივებოივთ ჰეიბ-ძავს მრავალ უბედურებას, საზოგადო ახრის ძალ-დატანებისაგან პიროვნების მიერ ჩადენილ სიბრუეზე. ეს იქნება საზოგადოებას არ მოეწონოს, მაგრამ დაახსობდება კი... „კანწირუფნი“, შოთა დადიანისა, შესადგებელია უხეიროდ შემოკლებულ-დამახინჯებული იყო, რომ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა, თითქო უშიზნო, უშიზანსო დრამაა.

თავისუფალი სიყვარული ქ-ნ სევედიასი სთავურით უფრო მეტს ახრს შესძრავს ცარებაში, ვიდრე მთელი პიესა. სტენაზე სწარმოებს შაბლანური საჭაროა მასალა სოფლისა, „შეყვარება გაუარების“ საქმე, და არა ჩანს არამც თუ არავისი რწმენა, დანიშნულება, მისახი, პრინციპი, არამედ ისიც კი, თუ რად მოქმედებენ ასე. ან ისე, ან რა ავლადიდეების პეტრონისი არიან იგინი — ინტელიგენტია, თუ არა, თუმცა მათში ექიმიც არის, სტუდენტიც და სხ.

სტენაზე მთავსდა და გულ-მხურვაღეთაც იყო დადგმული ზუღერძანის „მამულ-დედული“ ქ-ნ ნ. ჩხეიძის საბუნებისოდ. პიესა ცნობილი და ჩვენი ქება არ ესაჭიროება. კარგი ახსამბლით იყო ნათამაშევი, მინიკეისეშ თავისი მეუღლარებული თაზმით, თავიდან ბოლომდე შეტებული ტონით და შესაფერი დეცით. სატარკული როლით გვაგძმობინა, თუ რადღენად დრამა ესმის მებრძოლი სული განთავისუფლებული დედაკაცი-სა; ესმის სიამყე, რომლითაც შეიმოსება დამოუკლებელი ქალი „ტოდვიოთა“ ამდლებული და რა სთოთი გრძობიერებით უყვარდად გაასწარებს ამ ქვეყნიურს ბევრს უგვახიანს.

ბაბო სულხანი შვილი

ქართული სახიობა

ბაბოს დრამატული შრომა შაბასი, 14/XI, ბალახანაში წარმოადგინა „ხანუმა“, ვიოპს, 15/XI, ბაქოს სომეხთა კაცთ-მოყე. საზოგ. დარბაზში — „თამარ ბატონიშვილი“. ბალახანაში „ხანუმა“ მწყობრად ჩიარა.

ჩინებულნი იყვნენ ქ-ნი ანდრონიკაშვილი (ხანუმა), ქ-ნი წულუკიძისა (ქართული), ხოლო წახიბებთა ერთმანეთზე ხელით მიწვევა ულახათოდ მოუვიდათ. თითქო ეს თმ-ნეთს ენუბრებოდნენ, ქ-ნი ქილარჯიშვილი

* ჩვენგან დამოუკიდებელ მიზნით ვამო, ეს წყრილი თავის დროზე ვერ დაიბეჭდა.

კარგი იყო, მაგრამ სინახე აკლდა. კიდევ ყვიროდა ისედაც პატარა დარბაზში. ბ-ნი აწყურელი (აკოფა) მოხდენილი თამაშით დამსწრეთ ამხიარულებდა. ბ-ნი ჯიქია (კოტე) შეყვარებულთა რთლებს ვერ სძლეეს, სხვებზე ნიჭიერი სცენის მოყვარეა და თავის რთლებში,—სადაც სიღინჯეა საქირა—უფრო მოხდენილი. არა უშავდათ გ. პავლიაშვილს (კატრიანცი), მატარაძეს (ვანო) და ქუმბურითს (მოსამსახურე). ბ-ნი შლიკაშვილის ავადმყოფობის გამო „ხანუმა“ ბ-მა აწყურელმა დასდგა. ხალხი საკმაოდ დაესწრო. გათავდა II^{1/2} საათზე.

ბ-ნმა აწყურელმა რავედნათაც რიგიანად დასდგა კომედია „ხანუმა“, იმდენად დრამის „თამარ ბატონიშვილის“—დადგმაში მოისუსტა: რთლები შეუფერებლად იყო განაწილებული და არც ხეირიანად იცოდნენ, ვისაც კი შეესწავლა ზაპირად—სეტყვასავით აყრიდა ბ-ნმა ახოძაქამ (ელეზბარ) თავისი რიგიანის თამაშით უკანასკნელ მოქმედებაში რავედნადმე გამოსცინა და სტვათა ნაკლი. ისტ. პიესის უხეიროდ დადგმა ბაქოს სცენაზე, სადაც უმთავრესად მდაბიო ხალხი (სწორება.—სახიფათოა. ხალხი ქართულ წარმოდგენებს მოწყურებულთა, განსაკუთრებით ამ სეზონში, წელს, უმთავრესად, რასაც კმოწმობს ყოველ წარმოდგენაზე თეატრის დარბაზის ხალხით ვაჭედვა—მას უნდა ნამდვილი ხელოვნება.

ჟ. ბათუმში

კვირას, 15/XI ქართ. სცენის მოყვარეთა წრემ წარმოადგინა ა. ცუგარლის ისტ. დრ. „ქართველი დედა“, რომელიც წინ გვიყენებს ჩვენს წარსულს დროს. როდესაც ჩვენს ქვეყანას და განსაკუთრებით ქართლ-კახეთს მუდმივ მტერი იკლებდა და ქველადურს მხეცურად ანადგურებდა, თავ-განწირული ქართველი დედები სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე მამულს თავგანწირულ მეომრებს უზდიდნენ და არ ზოგადდენ არავითარ პირად ვაკვირებას, რომ თავი ი სამშობლო ქვეყანა გაენთავისუფლებიათ შემოსეულ მტრისაგან.

თუმცა ადგილობრივ სცენის მოყვარეებს ბევრი დაბრკოლება გადაელობათ, მაინც არ შედრკნენ, და დიდი შრომის შემდეგ განზრახვა სისრულეში მოიყვანეს. საერთოდ, როგორც სცენის მოყვარეებს მოეთხოვება, წარმოდგენამ კარგად ჩაიარა და ხალხიც დიდძალი დაესწრო, იშვიათად რომ ბათუმში ქართ. წარმოდგენას ამოდენა ხალხი დასწრებოდეს, განსაკუთრებით მდაბიო ხალხი იყო ბევრი, რომელმაც მოთამაშენი უფრო გაამხნგევა.

წმინდა შემოსავლის 20% მოხმარდა ომში დახარალებულთ. დანარჩენი გადაიღო სხვა და სხვა საზოგადო საქმისთვის და შემდეგი წარმოდგენის მოწყობისათვის.

როგორც დანამდვილებით ვავიგვთ, განზრახულია დაარსონ მუდმივი სცენის მოყვარეთა წრე. განზრახვა ჩინებულთა, საქირაო მოიწვიონ რომელიმე ხელმძღვანელთაგანი და მით უფრო ადგილად შესძლებენ მია-

წოდონ ხალხს სულიერი საზრდო, საქირაო თვით საზოგადოებამ გაუწიოს დახმარება და არსებობის სახსარი მოუპოვოს.

ეს წარმოდგენა პირველი მაგალითი იყო ადგილობრივ მცხოვრებთათვის, შეიძლება თუ არა სცენის მოყვარეთა მიერ წარმოდგენების მართვა, და ამან დავგვარწმუნა, რომ თუ მოვიინდომებთ შესაძლებელია და ყოველ მხრით ნაყოფიერი.

ჩვენის მხრით უსურვებთ წრეს გაძლიერებას, ურთიერთის შორის მტკიცე კავშირს და ენერგიულად მოქმედებას, დასასრულ უნდა აღვნიშნათ, რომ ბილეთების ფასი ჩვეულებრივზე ცოტა დაკლებული იყო, მაგრამ მაინც ძვირი, და ამისთვის საქირაო ფასებს დაუკლონ, რომ ყველა მშრომელს შეეძლოს ამ ვანებრივ-ხეობრივი წყაროს დაწაფება.

M. D.—li

ს.ო.ზ. ბეჰაშვი

(კლარ. მ.ზ.) ბ. ვ. ციციკიშვილის თათნობით აგერ 6—7 თვეა დაარსდა სცენის მოყვარეთა პატარა წრე. ამ წრეში შედიან ამავ სოფლის მიწის მუშის, გლეხის შვილები. ბ. ც—ლის მეცადინეობით მათ (სტ.-მოყვ.) შეიგნეს თეატრის მნიშვნელობა, მიიზიზიან და საქირაობა. ამიტომაც ბ. ც—ლთან ერთად სცენის მოყვარენი შეუდგნენ მხურვალე მუშაობას და დაიწყეს წარმოდგენების მართვა...

მართლაც რომ ნამდვილი სახალხო წარმოდგენები აქ იმართება: ადგილები—იაფ-ფასიანი (20 კ—5 კ.), წარმოდგენის დღე—შაბათი, პიესები—შიწარნიანი და მსმენელნი—გლეხ-კაცობა, დემოკრატია.

ზაფხულში ეს „წრე“ მართავდა წარმოდგენებს თვის შრომით აგებულ სახაფხულო სცენაზე და ეხლა კი სცენის მოყვარეებმა თვითონვე ააგეს სახამთრო შენობა სოფლის სკოლის გვერდით და იქ განაგრძობენ თამაშს.

ბ. ვ. ც—ლი არა ჰგავს იმ ინტელიგენტებს, რომელნიც სოფელში ყოფნას ატარებენ ძილსა და უსაქმურობაში. ც—ლის შრომა და ღვაწლი ს. ბეჰაშვიში დაუფასებელია და მის მიერ შექმნილი საქმე ფრიად სიმპატიურთა უმძველია აქ ეს საქმე ნაყოფს გამოიღებს და ბეჰმის პატარა თეატრი მიზანს მიადწევს: გამოაფხიზლებს გლეხ-კაცობას—გააცნობს წარსულს, ჩაახედებს აწმყოსში. მათ შეაგნებინებს თვის აუტანელ მდგომარეობას და აიძულებს მომავალზე ფიქრსა და ზრუნვას.

ასე რომ ვ. ც—ლმა ბეჰაშვიში არსებულ სოფლის სკოლის გვერდით ააგო მეორე სკოლა—ეს პატარა სახალხო თეატრი...

სწორედ წასაბამი მაგალითია!

ღ—უ

წვირილი ამბები

მალ. შალიკაშვილი ბაქოში ძალზე დაავადებულია თურმე, ამ ჯამად ბალახანის მრეწველთა საავადმყოფოში წევს და იქ ლორთქიფანითე ჰკურნა-

ლობს. ავადმყოფს ხანგრძლივი მკურნალობა ეჭირვება. ჯერჯერობით ბაქოს დრამ. წრე ქმრუნელობს.

◆ **ახალგაზღვარ მგონის** ციხა-თეატრალს ნაწერების გამოცემა განუზრახავთ მის ამხანაგ-მეგობართ. წიგნი ხელისმეწერით გამოვა.

◆ **ქუთაისის დასის მახინჯალი** ელა ანდრონიკაშვილი მიმდინარე კვირა: თბილისში იყო ხოციერთ გასტრალიორის გასაწვევად.

◆ **საბურთალოს თეატრს** 22/XI წარმოდგენის დროს ბოქაულმა ალყა შემოარტყა. გამგებობის თავმჯდომარე დაიჭირა და ორი საათი დატყვევებული ჰყავდა (ს.).

◆ **ნაპალაღვის თეატრში** კვირას, 29/XI ა. ვოვაშვილის რეჟისურობით წარმოდგენილი იქნება ა. კაგარლის ლეის ქალი გულჯაგარ და ბალანჩივადის „უბედური დღე“.

◆ **ღუბუ მებრალი სწარს** ახალს სამ მოქმედებთან დრამა-პოემას „პრომეთეოს“ (ამირანი). პირველი ორი მოქმედება უკვე გათავებული აქვს.

◆ **საზოგადო კრება** ქართ. დრამ. საზ-ისა შესდგება ამ მოკლე ხანში.

◆ **ქართ. დრამ. დასმა „ჰომილიკოს მემე“**. რომელიც 26/XI უნდა წარმოედგინა ცარკში, ორშაბათისთვის, 30/XI-ისთვის გადასდო, რომ საზ. წარმ. მმართველ, წრისთვის ხელი არ შეეშალა (წრესაც სწორ და ამ დღისთვის ქონდა წარმოდგენა).

◆ **ქუთაისში „ქართული დრამა“** ხუთშაბათს, 3/XII ვანო ბარველის-საბუნებისოდ წარმოდგენს პიოველად ახალ ისტ. პიესას „ტანტის მემკვიდრე“ (დრამა-ფანტაზია 1 მოქ. ი ბარველისა). გურანდუხტის როლს შეასრულებს დამსახურებული მსახიობ-ქალი ეფ. მესხი. ვახტანგ ბატონიშვილისას მიბუნეფოსე.

◆ **ერევანში** მსახ. დ. გულანოვი ადგილობრივ სცენის მოყვარეთა დახმარებით ამ მოკლე ხანში ქართულად დასდგავს „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“.

◆ **ქართ. კულტ მოყვ. საზ-ის კრება შხსდამ** შაბათს, 21/XI დღე. საკრ. დარბაზში. თავ. გ. თ. გორდანაას წინადადებით ფუნზე ადგომით პარტივი სცეს განხვეწვულ ქოლა ლომიათიძის ხსოვნას ბანა ივ. პ. როსტომიშვილმა წაიკითხა. მოხსენება: „ჩალი შუქი სწავლა-განთლების საქმეში: ერთი სკოლა და ერთი უნივერსიტეტი მთელ საქართველოსთვის“. რომელიც კრების დადგენილებით დაიბეჭდება ერთ-ერთ ქართულ გაზეთში, ამ საგანზე ხვათს მივრაც პარის გამოხატოქველად.

◆ **გრ. ანალოგამლის ლეიტენანტი** ეგროპის ომი და საქართველოს ახალი ეპოქა. 22/XI ახალი კლუბი: დარბაზში წაიკითხელო, შინაარსიანი გამოდგა, ორს გამოცემა დასდგება ლექსითი საზოგადოებამ ტაბით დაჯილდოვა: დასკვნა მისი ლექციისა იყო—ველა დასის წევრნი ერთის რეალისთვის უნდა ვიბრძოდეთ, რომ „ჩვენი თავი ჩვენვე ვეყუდნოდნო“.

რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

მსიკოვსკის ცირკი-რემოკოლო

ორშაბათს 30 კიორგობისთვის, 1915 წ. ქართ. დრამ. საზ-ი დასის მიერ წარმოდგენილი იქნება **სოფოკლეს** დიდებული ტრალედია ანტიური ცხოვრებიდამ

დიდი მკეფე

ნათარგმნი კონსტ. ანდრონიკაშვილი. პონაშულინი: ქ-ნი: აბაშიძე ტ., დავითაშვილი ნ., თოიძე ნ., ქიქოძე ა., ჯავახიშვილი ნ., ჩერქეზიშვილი ელ., ბ-ნი: აბაშიძე ვ., გუნიანი, გომელაური ხ., თარალაშვილი ი., იმედაშვილი ა., იშხნელი გ., მამფორია ი., ყიფიძე ი. ადგილები ნ ფასი 10 კ. 1 მან-დე.

და აწყისი ხალამოს ხ საათზე. რეჟისორი კ ანდრონიკაშვილი. დრამ. საზ-ის გამგ-ის მორიგი წევრი ი. ბარათაშვილი

ხარუხის საზ. კლუბი

ე-თი კვირის პროგ მ გიორგ ნ ქრისტ-დე შაბათს ქ სიმებიანი ორკესტრი პრესმანის კვირა | ლოტ ბარობით ორშაბ. სინემატოგრაფია; საზანდარი სამშაბ. სიმებიანი ორკესტრი სინემიტოგორ. ოთშაბ. ქართ. წარმოდგენა ხუთშაბ. სიმებიანი ორკეს. პრესმანის ლოტ. პარ.სკ. საზანდარი, სინემატოგრაფია შაბათი | ტალსტოის „ანა კარენინა“ კვირა | მუსიკალური საღამო მესამედი უსანი: მამაკენი—30 კ. ქალენი. სტუდენტები—20 კ. დასაწყისი ხალამოს 8 1/2 საათზე



პროგრ. ბ. ს. ახალდინანი. სპეციალური კომპლექსი. კლუბი.

ნომრები „ავროკრა“

ახლად შეკეთებული, საუცხოვოდ მოწყობილი, სუფთა, ელექტრონის სინათლით ქალაქის შუაგულს, ვორონცოვის ძველთან ნომრები ოთხი აბაზიდან. ნომრებში სამზარეულო, ცხელი და ცივი წყლით (დუში და ანა). თბ., მბ. პრ. № 6. ტელ. 13—14 (წ)